ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზდა სოციალ-დემოკრატი

Edition „LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE“ Géorgienne

გამოცემა საქ. ახალგაზდა მარქსისტია ორგანიზაციის საზღვარგარეთელ დელეგაციის

მეშვიდე რვეული. პარიზი, იანვარი 1931 წ. Paris



ნოე რამიშვილი

1881 — 1930

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე რამიშვილი

ნოე რამიშვილი დაიბადა 1881 წელს გურიის მთა-გორიან სოფელ სურებში. იგი პირველად მშობლებმა მიაბარეს იმავე სოფლის სკოლაში, სადაც მასწავლებლად იმ ხანად იყო ჩვენში კარგად ცნობილი, იშვიათი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ისიდორე რამიშვილი. არაჩვეულებრივი ბუნების პატრონს, პატარა ნოეს, ამ კეთილმა მასწავლებელმა ბავშობიდან ე ჩაუნერგა მას დაჩაგრულთა სიყვარული, მაშვრალთა მოსარჩლეობა და კეთილი საქმიანობა.

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჯერ სწავლობს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ კი ქუთაისის სემინარიაში. სემინარია მან დაამთავრა და 1901 წელს უმაღლესი სწავლის მისაღებათ იგი შედის დორპატის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. იმ დროს საერთოდ რუსეთის ყველა უნივერსიტეტთა სტუდენტებს შორის დიდი რევოლუციური მოძრაობა დაიწყო და ნოე კი ერთი თვალსაჩინო მონაწილეთაგანი შეიქმნა. ამის გამო მას უნივერსიტეტის დამთავრება არ დასცალდა და 1902 წელს იგი საქართველოში გადაასახლეს.

საქართველოში კიბანია დაწყებული მუშათა მოძრაობა, რასაც ნოე იცნობდა, ახლა მას აზვირთებული დახვდა. ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლება მუშათა ძოძრაობის ხელმძღვანელთ და მონაწილეთაც მრავლად ასახლებს ციმბირს. ასეთ დროს, 1902 წ, ზაფხულის მიწურულში, ნოე რამიშვილი ქალაქ ბათუმში მუშათა მოძრაობას სათავეში ჩაუდგა, როგორც კომიტეტის წევრი, და ხელი მოკიდა გურიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოწყობას. მისი ხელმძღვანელობით გურია მალე მოიფინა საიდუმლო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებით და 1903 წელს, ივნისში, ნოეს ინიციატორობით ქალაქ ბათუმში მოწვეულ იქმნა გურიაში მომუშავეთა კონფერენცია.

ბათუმის და გურიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მისი დაუღალავი მუშაობა ჟანდარმებს არ გამოეპარათ და ნოე იძულებული შეიქმნა ბათუმის არე-მარეს დროებით მორიდებოდა. იგი გადასახლდა ტფილისს, სადაც მუშებმა კომიტეტის წევრად აირჩიეს.

1904 წელს, შემოდგომაზე, ნოეს კვალს ჟანდარმებმა მიაგნეს, იგი დააპატიმრეს და გადაგზავნეს ეტაპით ბათუმში, სადაც მას ადგილობრივი კომიტეტის საქმიანობაში ბრალი ედებოდა. გზაში ნოე მატარებლიდან გადახტა, გაიქცა და არალეგალურად იწყო ცხოვრება — ჯერ დონის — როსტოვში, სადაც თვალსაჩინო წევრი იყო სოციალ-დემ. ორგანიზაციის. მაოტის თვეში 1905 წელს ნოე არა-ლეგალურად დაბრუნდა თფილისში და სხვებთან ერთად შეუბრალებელი და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ბოლშევიკებს. იმავე ხანებში იგი ნ. ჟორდანიასთან ერთად ხელმძღვანელობდა არა-ლეგალურ ჟურნალს ,,სოციალ-დემოკრატს'' და იყო, ბოლშევიკთა დამარცხების შემდეგ,მენშევიკთა ბიუროს წევრი, პირველი რევოლიუციის [1905] ერთი ხელმძღვანელთაგანი; რეაქციის ხანებში მუშათა ორგანიზაციებს მტკიცედ აკავშირებს, მუშათა მოძრაობას და სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებს ხელმძღვანელობს და თანაც უბადლო პროპაგანდისტ—ორგანიზატორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეაქციის ხანაში მრავალჯერ დააპატიმრეს და საქართველოდან გადაასახლეს, მაგრამ იგი ყოველთ ის ახერხებს უკანდაბრუნებას, მუშათა ორგანიზაციებში და მრავალ წრეებში დიდი იმედის და თავისუფლებისათვის დაუშრეტელი ბრძოლის წყურვილის შეტანას. მას ჩვენი მუშები უაღრესი ნდობით ეპყრობიან, იგი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა უმაღლეს დაწესებულებათა არჩეული წევრი, რუსეთის სოციალ-დემოკ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მსოფლიო ომის დროს არა მარტო პარტიის ხელმძღვანელთაგანი, არამედ პარტიის მაშინდელ ყველა გაზეთების რედაქტორი.

1908-9 წ.წ. იგი სწავლობს ლაიპციგის უნივერსიტეტში. მსოფლიო ომის დროს ნოე არის პარტიის ხელმძღვანელი, დიდი რევოლუციის [1917 წ.] დაწყებისათანავე იგი არჩეულია: ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის, მუშათა-გლეხთა და ჯარისკაცთა ცენტრის წევრად, პარტიის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად, იყო არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად, შემდეგ ამ. კავასიის სეიმის, ეროვნულ საბჭოს, პარლამენტის და დამფუძნებელი კრების წევრად, დამოუკიდებელ საქართველოს პირველი მთავრობის თავმჯდომარედ; შემდეგ შინაგან, განათლების და სამხედრო საქმეთა მინისტრი, მისი განათლების მინისტრობის დროს დაარსდა საქართველოში უნივერსიტეტი; მისი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს მოეწყო საქართველოს ყველა კუთხეში და მივარდნილ სოფლებშიაც ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონები.

მისი გამჭრიახი ორგანიზატორობის მეოხებით საქართველოს ნორჩი რესპუბლიკის შიგნიდან დანგრევა ვერც კომუნისტებმა და ვერც ყოველი ფერის და ჯურის რეაქციონერებმა შესძლეს.

გარეშე ძალის — რუსეთის ბარბაროს კომუნისტების მიერ საქართველოს ოკუპაციის [1921 წ.] შემდეგ დამფუძნებელი კრების დადგენილებით ნოე, როგორც მთავრობის წევრი, საქართველოს მთავრობასთან ერთად ევროპაში გაიხიზნა. ევროპაში იგი დაუყონებლივ შეუდგა საქართველოს გათავისუფლების საქმეს და მისებური გატაცებით, იმედიანობით და გაათკეცებული ენერგიით ცდილობდა სამშობლოს გათავისუფლებას, იყო პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს წევრი და ხელმძღვანელი, ერთი რედაქტორთაგანი საზღვარ-გარეთის პარტიული გაზეთების.

მისი ცხოვრება განუყრელად შეკავშირებულია საქართვ. სოც. დემ. მუშ. და ქართველი ერის გამათავისუფლებელ დღევანდელ მოძრაობასთან. იგი იყო შეუდარებელი თავდადებული მებრძოლი სამშობლოს განსათავისუფლებლად და მისი დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღსადგენათ.

1930 წ. დეკემბრის 7-ს, ნაშუადღევის სამ საათზე, როცა ნოე მიეჩქარებოდა პარტიულ კრებაზე, პარიზში, იტალიის მოედანზე, ჯებირს ამოფარებულმა მოსყიდულმა ბოროტმა ხელმა რევოლვერის ტყვიით მას სიცოცხლე შეუწყვიტა და საქართველოს გამათავისუფლებელ რაზმს უაღრესად თავდადებული და შეუდრეკელი მეომარი ხელიდან გამოაცალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲥᲕᲘᲠᲗᲐᲡ ᲜᲝᲛᲔᲡ

უცᲮᲝ სამარემ მიიბᲐრა დიდი ᲥᲐრთველი,
შორს ჩუმად კვნესას და ითინᲔᲡ ტᲐᲜᲯული ერი,
დაჩუმდა ᲥᲜᲐრი — სᲐᲜუგᲔᲛᲝ ენამეტყველი,
ტᲐᲜᲯულ სამშობლოს გაᲫᲝსტᲐᲪᲔს ერთგული მცᲕᲔლი.

ჩაგრულთ ოᲯᲐხᲨი მᲐᲜ ᲐᲐᲜთᲝ შვების ლამᲠᲐრი,
სოფლად გაისმა საყვირის ხმა, სიტყვა მ'უხარი,
კიდით კიდემდე დაირაზმა მებრძოლთ ამᲥᲐრი —
მამაც სარდალმა დაამსხვრია მონობის კარი.

ჩრდილოეთიდან ამოძრავდა ბოროტი ხელი,
კოᲯᲝრის მთაზე დაიფლითა დროშა სამფერი,
მურტალ ფეხებმა წაგვიპილწეს მიდამო-ველი,
შაᲯ მანდილებში შეიმოსა დედა ᲥᲐრთველი.

არ შედრკა ოდნავ 'ᲕᲔᲧᲜისაგან რჩეული შვილი,
ობოლთ რიგებში დატრიალდა მებრძოლი სული,
გაჩაღდა საᲥᲛᲔ სანეტარო იმედით ᲥᲛᲜილი,
მთა-ბარს გადასცა, ამეტყველდა ჩანგი მახვილი;

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ, ერმა შეიყვარა მისი სახელი,
მუდამ გულადი, გულკეთილი, სიმართლის მთᲥᲛᲔლი,
მამა ოᲯᲐხის მაგალითი და საყვარელი,
მტერთᲐᲜ უდრეკი და მრისხანე, შეურყეველი.

შიშის აჩრდილმა შეაშფოთა კრემლი წითელი,
ᲥᲐრთველ შვილებში გამონახეს ღალატის ხელი.

წუთიერია მᲐთი ლხენა და სიხარული,
თავისუფლებას გამოსᲯᲔდავს ტურფა მამული;
წინ გაგვიძღვება, გაგვინათებს უკვდავი სული —
ბრძოლა გვასწავლა, ჩაგვინერგა მᲐᲜ სიყვარული.

შევფიცოთ ბელადს დადუმებულს ცივ სამარეში:
თავისუფლებას მოვიპოებთ იᲥ ჩვენს მხარეში!

მას არ უყვარდა გულ-გარეხა მწუხარე დღეში!
შემოკრბით რწმენით და იმედით მებრძოლთ რიგებში!.

პ. ს.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე რამიშვილის ხსოვნისათვის

დღეს, როდესაც ნოე რამიშვილის ცხედარი ჯერ კიდევ არ გაცივებულა, როდესაც ყველა ჩვენ იმ შთაბეჭდილების ვეშ ვიმყოფებით, რომელიც მისმა ასე ეროგულათ მოკ ლამ მოახდინა ჩვენზე, ძნელია მისი მოღვაწეობის ყოველმხრივი და სწორი დაფასება. ეს მომავლის საქმეა.

მის ხსოვნის პატივსაცემათ, ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ერთი მხარე მის მოღვაწეობაში, ჩვენ გვინდა მოვიგონოთ თუ რა მნიშვნელოვანი იყო მისი ღვაწლი იმ დიდ საქმეში, რომელსაც მთელი ქართველი ერი ეტრფოდა: საქართველოს სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებაში

მისი სახელი სამუდამოთ დაკავშირებული იქნება იმ აღფრთოვანებით აღსავსე დღესთან, რომლის დაბრუნება მთელ ჩვენ ქვეყანას ასე ღრმად სწადია; რომლის დაბრუნებისათვის ის ასე დაუღალავათ იბრძვის და ამდენ მსხვერპლს იღებს, 1918 წლის 26 მაისთან, იმ დღესთან, როცა დაიბადა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ამ დღეს იყო სწორეთ, რომ ნოე რამიშვილი არჩეულ იქნა ახალ სახელმწიფოს მთავრობის თავჯდომარეთ და შინაგან საქმეთა მინისტრათ.

სამი წლის განმავლობაში, ჯერ როგორც მთავრობის თავჯდომარე, მერე როგორც შინაგან საქმეთა, განათლების და სამხედრო მინისტრი, ყოველთვის დაუღალავი, დიდი ენერგიის პატრონი, იშვიათი ხასიათის სიმტკიცით და ნებისყოფით აღჭურვილი, ერთგულათ და თავდადებულათ იბრძოდა ახალ სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ.

მან კარგად იცოდა, თუ რა განსაცდელი მოელოდა საქართველოს დამოუკიდებლობას; მისი მოუსვენარი სული, მუდამ გაღვიძებული თვალყურს ადევნებდა მტერს და სცდილობდა შიგნით დემოკრატიული წესრიგი გაემტკიცებია და საზღვრების დასაცავად მტკიცე და ბრძოლისათვის გამოსადეგი ჯარი მოემზადებია.

იმ დროს, როდესაც მთელი რუსეთი ანარქიას განიცდიდა, საქართველო წარმოადგენდა გამონაკლისს წესრიგისა და შემოქმედებითი მუშაობის მხრით, და აი სწორეთ ამ პირობების შექმნაში ქართველი ერის ხელმძღვანელთა შორის ნოე რამიშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღოდა.

ის იყო ბოლშევიზმის დაუძინებელი მტერი, მის სიძულვილს მოსკოვის ჯალათებისადმი, რომელიც სავსებით გამოხატავდა ქართველი ერის გრძნობებს მის მტარვალთა მიმართ, თან ერთობოდა მის პიროვნებაში ბრძოლის წყურვილი და რწმენა გამარჯვებაში.

დღეს ის სამუდამოთ მოსცილდა იმ საქმეს, რომელსაც ის ემსახურებოდა. მაგრამ ქართველი ერი განაგრძობს ამ საქმეს, ის განაგრძობს ბრძოლას თავისუფლების მოსაპოვებლათ; ახლა შორს აღარ არის დღე, როცა ის თავის მიზანს მიაღწევს.

და ამ გამარჯვების დღეს ის მოიგონებს და პატივს სცემს მათ, ვინც თავისი სიცოცხლე საერთო საქმეს შესწირა და ვინც თავისი მოქმედებით ნათელჰყო, რომ ქართველ ერს შეუძლია თავის თავს თვითონ უპატრონოს, შეუძლია შექმნას თანამედროვე სახელმწიფო და გასწიროს საჭირო მსხვერპლი თავის იდეალის განსახორციელებლათ.

მათ შორის კი ნოე რამიშვილს სამუდამოთ საპატიო ადგილი აქვს მოპოვებული.

მ. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფას მასწავლებელს

წვიმს, წვრილ წვეთებს აბნევს ზეცა,
ზმუის ქარი, იქნევს ტალღებს,
თეთრ ნისლებში ჩაიკეცა
მთები, სოფლის სიამაყე,

წმიდა გულის შეწყდა ცემა
უცხო მიწა, გლოვის ჩარი
შავ ფარდებად გადმოეშვა
ხმა სიკვდილის შესაზარი!

აღარა გვყავს ის, ვინც გუშინ
მზიურ აზრებს უხვად ჰქმნიდა,
მძიმე კვნესის შავ ბურუსში
ბრძოლის ხაზებს ცეცხლებს სცემდა!

მეტეხის ქვეშ ტირის მტკვარი,
მწუხარება ტანჯავს სახეს,
კოჯორიდან მოდის ქარი,
მწუხრად ზიდავს ცნობის ნახევს.

წვიმს, წვრილ წვეთებს აბნევს ზეცა,
ლანდებს იხმობს გლოვის ყამი,
შავ ფურცლებად დაიკეცა
ხმა სიკვდილის შესაზარი!

გიორგი ყიფიანი

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა

ორგანიზაციების (ახალგაზ. სოც.-დემ.-თა) ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

ქართველ ერს, საქართველოს სოციალდემოკრატიას და ჩვენს ორგანიზაციებს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება. მტერმა ვერაგულათ ხელიდან გამოგვტაცა შეუდარებელი მებრძოლი ნოე რამიშვილი. მას ტყვიით განუგმირეს მგრძნობიარე გული, შეჩერდა მისი ძლიერი მაჯისცემა, უდროოთ შეწყდა მისი ნაყოფიერი და მჩქეფარე ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ გვყავს ის, ვინც მუდამ საქმეზე ფიქრობდა და ახალი ბრძოლის გეგმებს ადგენდა. ქართველ ერს წაართვეს მისი სიმტკიცის სიმბოლო, მისი სახელოვანი მედროშე. ჩვენ პარტიას მოსტაცეს მთავარი ორგანიზატორი, მისი ძლიერი ნებისყოფა. ჩვენ აღარ გვყავს ყველაზე უფრო ახლობელი და მუდამ ჩვენზე მეოცნებე ხელმძღვანელი და საყვარელი მასწავლებელი. ჩვენს საყვარელ დიდ ნოეს, ჩვენს მამას, ჩვენს მეთაურს მოაშორეს მისი ერთგული ნოე, მისი გეგმების ცხოვრებაში გამტარებელი, მისი ყველაზე ერთგული და ახლობელი თანამშრომელი...

მე მას ცოცხალს ვერ მოუსწარი. ქართველი ერის, ჩვენი პარტიის და თქვენი ზრახვები მას ვერ გადავეცი. ეს გარემოება კიდევ უფრო აორკეცებს ჩემს ტანჯვას, ჩემს საშინელ ტრაგედიას. ვაი ჩემს ბედს, რომ ამ საშინელ განსაცდელის ჟამს მის გვერდით არ ვიყავ... ეხლა კი ცოცხალი ვარ მხოლოდ ფიზიკურათ, ჩემი სული და გული, ჩემი ენერგია საყვარელ ნოეს თან გაყვა. ვცოცხლობ უგულოთ, უმიზნოთ და არ ვიცი, რისთვის ან ვისთვის. ჩემი და მისი ღირსეული ოჯახის ცხოვრება სამუდამოთ მოწამლულია...

ჩვენი საყვარელი და სახელოვანი ნოე სწორედ მაშინ დაეცა ბრძოლის ველზე გაშლილ დროშით ხელში, როცა ტირანიის კედლები ზანზარობენ, როცა გათავისუფლების ჟამი მოახლოვებულია. შეუდარებელი მებრძოლი უმოძრაოთ ცივ სამარეშია მაშინ, როცა ის მეტათ საჭირო იყო, როცა ის ყველაზე მეტს გააკეთებდა. ჩვენი მწუხარება უსაზღვროა იმ ულმობელი სინამდვილით, რომ ნოეს შეცვლა დღეს არავის შეუძლია, მისი ადგილი ცარიელია, მას მემკვიდრე არ დარჩენია...

მტერი შეტევაზე გადმოვიდა და გაიმარჯვა კიდეც. მან აიღო ჩვენი ძლიერი პოზიცია, ჩვენი საუკეთესო ციხე-სიმაგრე. მან სწორედ იქ დაგვარტყა, სადაც მეტ საფრთხეს ხედავდა და უდიდესი ზარალიც მოგვაყენა. ჩვენი მდგომარეობა რთულია, საქმის გამოსწორება არც ისე ადვილია...

რა გამოასწორებს ეხლა ჩვენ საქმეს, აი ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს?. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პარტიისა და ორგანიზაციების მხნეობა და სიმტკიცე. ეხლა გმართებთ თქვენ ყველა სასიცოცხლო ძალების დარაზმვა და რიგების შემჭიდროება. მტერი უნდა მიხვდეს, რომ ჩვენი საყვარელი ნოეს წაქცევით მისი საქმე არ დაღუპულა. თქვენ უნდა შესძახოთ ერთსულოვნათ მტერს და მოყვარეს, რომ თქვენ აგრძელებთ ძვირფასი ნოეს საყვარელ საქმეს. ჩვენ უნდა შევფიცოთ ჩვენი ძვირფასი ხელმძღვანელის წმინდა ხსოვნის წინაშე ერთხმათ და ერთსულოვნათ, რომ იმ საქმეს რომელსაც შეეწირა ჩვენი საყვარელი ნოე და უთვალავი ლეგიონები ჩვენი რიგებიდან, ბოლომდე გავყვებით და მას სრულ გამარჯვებამდე მივიყვანთ. მე სანამ ცოცხალი ვარ თქვენს რიგებში მიგულეთ სხვა ნოეს ამხანაგებთან და მოწაფეებთან ერთად, რომლებიც აქ აგრძელებენ ნოესა და ჩვენს საერთო საქმეს...

მტერი მოსტყუვდა. იდეა და კეთილი საქმე ტყვიით არ მოკვდება. მე მწამს, რომ ნოეს ხსოვნა თქვენსა და მის მეგობარ-ამხანაგებში წაუშლელი დარჩება. მისი ოწამოებრივი სიკვდილი თქვენთვის სამაგალითო იქნება .. ძვირფასი ნოეს წაქცევით ხისი საქმე არ დაიღუპება...

ჩვენი რთული მდგომარეობა თქვენ მოგიწოდებთ ერთგულებისაკენ...

მაშ მტკიცეთ და შეუპოვრათ ძვირფასო ამხანაგებო ახალი ბრძოლებისაკენ...

ჩვენი მხურვალე სალამი ჩვენს მხნე ორგანიზაციებს.

თქვენი ერთგული: ჰომერი.

იანვარი 1931 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავკარგეთ ხელმძღვანელი

1930 წელი ჩვენი გლოვის აპოთეოზით დამთავრდა. ჩვენ უცხოეთის ცივ მიწას მივაბარეთ საყვარელი სარდალი და მასწავლებელი ნოე რამიშვილი, რომლის მთელი სიცოცხლე და ბრძოლა მტკიცედ იყო გადაბმული ჩვენი ორგანიზაციის ცხოვრებასთან. რამდენად საყვარელი და განუყრელი მეგობარი იყო ის ჩვენთვის იმდენად საშიში და დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ. მტერმა ეს კარგათ იცოდა და მისი სისხლიანი ხელები სწორედ იმ ადამიანის წინააღმდეგ აღიმართა, რომლის ბრწივის თვალები სავსე იყო მტრის საბოლოო განადგურების ენერგიული გადაწყვეტილებით.

უსაზღვროა საქ. სოც. დემ. ახალგაზრდობის გლოვა და მწუხარება. მან დაჰკარგა საუკეთესო პროტექტორი, რომლის თვითეული სიტყვა დარიგებაც იყო, გამხნევებაც და ბრძოლისკენ მოწოდებაც. დიახ, ჩვენ დაუფასებელი საუნჯე დავკარგეთ და მის მოგონებაზე ვსტირით და ვგლოვობთ. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ეს გლოვა მტერს დავუმალოთ. დეე, მისთვის აშკარა იყოს, რომ ამ საზიზღარი მკვლელობით მან საბოლოოთ განამტკიცა ჩვენი რიგები: ჩვენ ერთი წუთითაც არ დავხრით იმ დროშას, რომელიც მისგან მივიღეთ და კიდევ მეტი თავგანწირვით ვიბრძოლებთ მისი წმინდა საქმის გამარჯვებამდე. რამდენათ ძვირფასი იყო ის ჩვენთვის, იმდენათ დაუნდობელი ვიქნებით მათ წინააღმდეგ, ვისთვისაც მისი სიცოცხლე საფრთხეს წარმოადგენდა. ჩვენ ამ ბრძოლაში მწვავეთ ვიგრძნობთ იბლობას სულით, მაგრამ მის საყვარელ ხალხს დავუბრუნებთ თავისუფლებას, რომლის საგუშაგოზე ასე წარბშეუხრელათ დაეცა იგი.

ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო ნოე, როდესაც სოციალისტურ მოძღვრებას ეზიარა და მაშვრალთ მოძრაობაში ჩაება. ამიტომ ის გამოცდილებით გრძნობდა ჩვენთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას. ის ზედმიწე ნით იცნობდა ახალგაზდის სათუთ ფსიქოლოგიას და ამ ცოდნით განისაზღვრებოდა მისი ასეთი მეგობრობა ჩვენდამი. დაუნდობელი მტერთან, შეუპოვარი მოწინააღმდეგესთან, ის მამაშვილური მზრუნველობით თავს ევლებოდა ჩვენს ორგანიზაციებს და დღე-ღამ მათ საჭიროებაზე ზრუნავდა. აწმყოს იმდენათ ჰქონდა მისთვის შინაარსი, რამდენათ ის ჭეშმარიტ მომავალს აახლოებდა. ჩვენი ხანა ის ეტაპია საუკუნეების ორომტრიალში, რომელიც დათრგუნვილ სამართლიანობის აღდგენას ამზადებს. რაც არის, ის წარმავალია; რაც უნდა იყოს, მომავლის საკუთრებაა და ეს მომავალი საიმედო ხელებს უნდა გადაეცეს. ასე ესმოდა ნოეს თავის თაობის მოვალეობა. ეს იყო მისი დე ი-ზი. მან თავისი უტეხი ნება, ურყეი სული შთაბერა ჩვენს ორგანიზაციას. ის დიდი როლი, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ მიისაკუთრა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მასში მომავლის უზრუნველყოფის რწმენას ამტკიცებდა.

ის გრძნობდა, რომ სოც. დემ პარტიას ღირსეული მემკვიდრე ეზრდებოდა იმ ორგანიზაციის სახით, რომელიც ასე გატაცებით იტანდა აწმყოს ჯოჯოხეთურ პირობებს და ტანჯის გოლგოთისაკენ ღიმილით მიემართებოდა. ამიტომ იყო, რომ უჩვეულო ოპტიმიზმით შესცქეროდა ის ჩვენი ქვეყნის მომავალს.

მთელი მისი ზრუნვა მიმართული იყო იმისკენ, რომ ჩვენს ირგვლივ გაეფანტა ის სქოლასტური, კომსომოლური ფსიქოლოგია და ატმოსფერა, რაიც ოკუპაციამ გააბატონა ჩვენში. ის დაუღალავ მონაწილეობას იღებდა ახალგაზდებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვ ითგანვითარების წრეების დაარსებაში და ამით კიდევ უფრო გვიახლოვდებოდა ვის არ ახსოვს, თუ რა აღტაცებთ ეგებებოდა ის ახალგაზდების ყოველგვარ ინიციატივას? ვინ იცის რამდენ ხანს ცარიელი დარჩება მისი ადგილი ჩვენში? ის დადებითი ცოდნის, გამოცდილების და უშრეტი ენერგიის ჰარმონიას წარმოადგენდა. ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან. მან დაგვიტოვა გაკაფული გზა, ნათელი და სწორი. დეე, მდგომარეობის სიდუხჭირემ ჩვენში გამოაცოცხლოს ის ძალა, რომელიც კოლეტიურად დაგვაძლევინებს მას, რასაც მისი ერთი ხელის შემოქნევა დაანგრევდა. ჩვენ ამას შეეძლებთ, რადგან მის სკოლაში აღვიზარდეთ. სასოწარკვეთილება წარმავალია. სამგლოვიაროთ გულზე დაკრეფილი ხელები კვლავ ამოძრავდება ბოროტების მოსასპობათ. მისი სიყვარული და ხსოვნის პატივისცემა შეგვაძლებინებს შეხმატკბილებულ საქმიანობას. ამ შეგნებით მიზანს მივაღწევთ და მადლიერ ერს დავუბრუნებთ საყვარელ ბელადის ცხედარს, რომლის სული, ობლათ დარჩენილი, ვედრებით ესალმუნება მას:

«დედა შვილობამ ბევრს არ გთხოვ,
«შენს მიწას მიმაბარეო,
«ცა - ფირუზ, ხმელეთ - ზურმუხტო,
«ჩემო სამშობლო მხარეო!»

სამშობლო მხარე სიყვარულით და სინანულით ჩაიკრავს გულში თავის დაუღალავ მოამაგეს და გამარჯვების პანთეონში მიუჩენს სადგურს. ჩვენ კი — მისი მცნებებითა და გამოცდილებით შეიარაღებულნი მტკიცეთ განვაგრძობთ მის დაწყებულ საქმეს.

მისი სახელის მოგონება ფრთებს შეასხამს ჩვენს აღმაფრენას და შეგვაძლებინებს მის ღირსეულ მემკვიდრეობას.

აღარა გვყავს ადამიანი, რომლის მოუსვენარი, მწარე განცდებით სავსე სიცოცხლე ერის ბედს ასე მჭიდროთ გადაება; რომელიც საქვეყნო სამართლიანობის ძიებაში აბობოქრებულ ტალღის სიძლიერით ეხეთქებოდა ცხოვრების უტეხ კედლებს. შეუბრალებლათ მოგვკვეთეს თავი, რომელიც წინ გვიძღოდა ჭეშმარიტებისა და თავისუფლების სამეფოსაკენ. ამის შეგნება შეგვმატებს ძალას და დაუვიწყარი ბელადის ლანდი ჯადოსნური ლამპარივით გაგვინათებს სოციალიზმის ეკლიან ზას, რადგან მასაც ასე ვუყვარდით ჩვენ.

ვ ინწკირველი

რა უნდა შევისმინოთ მისგან

მტერი განუსაზღვრელ სიხარულშია... ჩვენ კი ვქვითინებთ ჩვენი მასწავლებლის საფლავზე... მიპარვით, ქურდულათ, მტრის მოსყიდულმა ჯალათმა ტყვიით განგმირა მებრძოლი გული. ხელმძღვანელობიდან მოხსნა ჩვენი «პატარა ნოე», ჩვენი დიდი სა მის კაცი, დასწურა დაუშრეტელი ენერგია, ჩააქრო გულს მოდებული ბრძოლის ცეცხლი, მებრძოლ საქართველოს მოსტაცა ერთი იმედი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, ვინც გვრაზმავდა, გვასწავლიდა და ბრძოლის ველზე გვიძღოდა, აღარ არის. დღეს საქართველოც იმეორებს: «აღარ არის»... და მწარეთ ქვითინებს ჩვენსავით, იცრემლება ყველა ქართველი, იცრემლება ყველა მეგობარი საქართველოსი.

მხოლოდ მტერი დღესასწაულობს, მტერი ბოროტი და მოთავე უსამართლობის. ის გრძნობს ერთ გამარჯვებას, ერთი ძლიერი ბარიკადის აღებას.

... და რა იცის, რომ ეს სიხარული და გამარჯვება წუთიერია, ხალხის ნებისყოფა და სურვილი კი უკვდავი?!

ნოეს იდეაც დიდია, უკვდავია. ჩაგრულ ერთა სუვერენობა, დემოკრატიული რესპუბლიკა და სოციალიზმი: აი რა იყო მისი ბრძოლის საგანი, აი რას შეეწირა მისი წმიდა სისხლი. კულტურულ კაცობრიობაში სამარადისოთ ღვივის ეს იდეა: იდეა სამართლიანობის, იდეა თანასწორობის და იდეა კეთილ მეზობლობის. ნოეს სახელიც სამარადისოთ იჩირაღდნებს თავგანწირულ მებრძოლთა შორის.

და რას გვავალებს ჩვენ ეს? რას მოითხოვს ხსოვნა ჩვენი საყვარელი მასწავლებლის? — მტკიცე რიგებს, გამარჯვების სურვილს!

და გზაჯვარედინზე, საცა უსამართლობიდან დაჩაგრულნი ერთი ერთმანეთს ხელს აძლევენ და ეფიცებიან გამარჯვებისთვის ბრძოლაში... საცა სხვა და სხვა სახით, სხვა და სხვა დროს ბრძოლის ველზე გულგანგმირული დაეცენ: სილიბისტრო-კარლო, ნოე ხომერიკი, სხვა ათეული ათასი მებრძოლებით... და იქ, საცა პირსისხლიანი მტრის ბრძოლაში მარჯვეთ შებმული, მუდამ მხნე ნოე ყორდანია კვლავინდებურათ გადაძახის მებრძოლ საქართველოს: «სწორი გზით, წინ»..., აი იქ მოსჩანს აჩრდილი ჩვენი საყვარელი ნოე რამიშვილის და ბრძოლისკენ მითითებით გვეძახის:

— სიყვარული რწმენის და რწმენა გამარჯვების..

აი, რა უნდა შეისმინოთ მისგან!

მ. მელუა

ქ. სოშო, 16 დეკემბერი

წ ე რ ი ლ ე ბ ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ

ამხანაგებო! ვერ აგიწერთ იმ ღრმა აღშფოთებას, რომელიც გამოიწვია ჩემში ჩვენი ძვირფასი ხელმძღვანელის, ნოე რამიშვილის დაკარგვამ. ვერაგმა ხელმა მოჰკლა ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი, მაგრამ ვერ მოჰკლავს მის ღვაწლსა და მისი სახელი სამუდამო დარჩება ჩვენში. მე ღრმა იმედი მაქვს, რა დიდიც არ არის დაკარგვა, ამით ჩვენი ბრძოლის უნარი არ გატყდება, არამედ ყოველი ჩვენთაგანი უფრო შეიგნებს ორგანიზაციულ სიმაგრისა და სიმტკიცის საჭიროებას. — საერთო გლოვის ხმას შეუერთეთ ჩემი მწუხარებაც.

აკაკი ბარკალაია

გრენობლი, 11 იანვარი, 1930

ამხ.! ღრმად ვარ დამწუხრებული ჩვენი საყვარელი ბელადის, ნოე რამიშვილის მკვლელობით. დიდია ჩვენი პარტიისათვის ეს დანაკლისი, განსაკუთრებით დღეს, როდესაც მტერს სიკვდილის აჩრდილი თავს დასტრიალებს. შეჰკარით მაგრად რიგები და მტკიცედ ვემსახუროთ საყვარელ ნოეს საქმეს — ქართულ საქმეს.

ტარასი წულაძე

კან, 8 დეკემბერი